

მანანა ბუკია
თსუ არნ. ჩიქობავას სახ.
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ქართულ-ჩერქეზულ-ოსური ლექსიკური შეხვედრები

ქართველ, ჩერქეზ და ოს ხალხთა მრავალსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ კავკასიის რეგიონში ბუნებრივად წარმოშვა ენობრივი კონტაქტები, რამაც თავი იჩინა ლექსიკური ნასესხობების სახით.

სტატიაში განხილულია ლექსიკის ნაწილი, რომელიც პოვნიერია სამსავე ენობრივ სისტემაში, დადგენილია სესხების მიმართულება და შუალედური ენობრივი რგოლი, განხილულია სესხებისაც მიმდინარე ფონეტიკური ადაპტაციის წესები.

ქართულიდან ჩერქეზულსა და ოსურში ნასესხებია:

პარასკევი (ქართ.) „შვიდდღიანი კვირის მეხუთე დღის სახელწოდება“ (ქეგლ VI: 126) – **ბზრჷსკჷზჷ** (ადილ.) „ოთხშაბათი“; **ბზრჷსკჷშ**° „პარასკევი“, **ბარგჷგ** / **ბარაზგ** (ყაბარდ.) „id.“ (შაგიროვი 1977: 75-76), **ბრასქა** / **ბრასკ**-ჷ (უბიხ.) „ოთხშაბათი“ (ჯანაშია 2015: 93), **ბზრჷსკჷზჷ** და **ბზრჷსკჷშ**° ფორმებში პირველი ნაწილი **ბზრჷსკჷ** ქართული „პარასკევი“, მეორე ნაწილი **ზგ** „მცირეს, პატარას“ ნიშნავს, **შ**(ჷ) კი – „დიდს“. ჩანს, სახელდებისთვის ამოსავალია ოთხშაბათისა და პარასკევის რიტუალური მნიშვნელობა, სახარებისეული სწავლება. **ბზშ** „პარასკევი“ ეტიმ. „დიდი პარასკევი“ ჯვარცმის მისტერიასთან ასოცირდება, **ბზრჷსკჷზჷ** „ოთხშაბათი“, ეტიმოლოგიურად „პატარა პარასკევი“ – საიდუმლო სერობასთან. სიტყვები ჯერ კიდევ მაშინაა შესული ჩერქეზულში, როცა ჩერქეზები ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ. ქართულიდან ნასესხები სიტყვა იძებნება სხვა კავკასიურ ენებშიც: **პარასკა** (ინგ.), **პერასკა** (ჩეჩნ.) „პარასკევი“, **ბარგსჩი** / **ბარჷსკჷ** (ოს.) „ტრაური, მარხვა“ (შაგიროვი, იქვე).

ქატო (ქართ.) „დაფქული მარცვლის გარსის ნარჩენი, გაცრისას საცერში რომ რჩება, – ანაცერი“ (ქეგლ VII: 271), **გჷტ** / **გატ** (სვან.) „ქატო“ (თოფურია, ქალდანი 2000: 169) – **ჩგთჷ** / **ჩგთ** (ადილ.) „ალაო“ (შაგიროვი 1977-ა: 135); ქართული **ქატო**-ს შესატყვისია მეგრული **ქუტია** „მცენარის სახეობა“ (ჩუბუა 2000-2003: 79). ბ. ბალყაროვს მოჰყავს ადილ. **კგთ**, ყაბარდ. **კგთჷ**, ლაკ. **კუთ**, არჩ. **ტჷ**, ხუნდ. **ტეჯ** „ალაო“, მათ უკავშირებს ქართულ **ქატო**-ს და მიიჩნევს, რომ ოსური **წათა** ჩერქეზულიდან არის შეთვისებული (ბალყაროვი 1965: 51). ვ. აბაევი ოსურ **წათა** „ქატო“ ფორმის განხილვისას უთითებს, რომ ამოსავალი

ქართული ქატო-ა (აბაევი 1958: 330). უნდა ვივარაუდოთ, რომ ადიღეური ფორმაც ქართულიდანაა შეთვისებული.

ბოლოკი (ქართ.) „ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე“ (ქეგლ I: 1094), **ბულეკი** (მეგრ.) „ბოლოკი“ (ყიფშიძე 1914: 208), **ბულეკი / ბულეჭი** (ლაზ.) „ბოლოკი“ (მარი 1910: 132), **ბოლოკ** (სვან.) „ბოლოკი“ (საღლიანი 2005: 15) – **ბაღჯჯ** / **ბოღჯჯ** / **ბაღჯჯ** (ადიღ.) „ბოლოკი“ (შაგიროვი 1977: 68); ჩერქეზულში შეთვისებულია ქართულიდან. ვ. აბაევის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შესაძლოა, სესხების შუალედურ რგოლად ოსური განვიხილოთ და მოჰყავს შესაბამისი ფორმები: ირონული **ბოლკ** და დიგორული **ბოლგ** (აბაევი 1958: 270).

გომი, გომური (ქართ.) „მსხვილფეხა რქოსანი საქონ-ლის საზამთრო სადგომი, – გომური“ (ქეგლ II: 1470), **გუმ** (სვან.) „გომური, მაჩვიბის ქვედა ნაწილი; სარდაფი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 180) – **გან** / **კანგ** (ყაზარდ.) „ბელელი“ (შაგიროვი 1977: 112); სიტყვა გვხვდება ოსურშიც **გონ** / **გომ** სახით (აბაევი 1958: 523-524). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ სიტყვის პირველწყარო ცნობილი არ არის (შაგიროვი 1977: 112). ბ. ბალყაროვი ანალიზებს სიტყვის სემანტიკის მონაცვლეობას **საქონლის სადგომი** > **ბელელი** > **სახლი** (ქართული **გომური** მისთვის „ქობია“) და მიიჩნევს, რომ ამ დინამიკას მივყავართ კავკასიელ მთიელთა ძველი საცხოვრებელი პირობების წარმოდგენამდე. ერთსა და იმავე შენობაში იყო საცხოვრებელიც, საქონლის სადგომიც და ბელელიც (ბალყაროვი 1965: 41). ა. აბდოკოვი ჩერქეზულ ფორმებს უკავშირებს აფხაზურ ა-კუნა „ფაცერი“ (აბდოკოვი 1973: 45), რომელიც აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული. ვფიქრობთ, რომ სიტყვა ქართულიდანაა გავრცელებული ჩერქეზულ ენებში.

კანაფი (ქართ.) „1. ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო; 2. ამ მცენარის ქერქი, სართავი ბოჭკო“ (ქეგლ IV: 1046), **კიფი / კფ** (მეგრ.) „კანაფი“ (ყიფშიძე 1914: 259), **კაჭრი / კერფი / კეფი** (ლაზ.) „კანაფი“ (მარი 1910: 154), **ქან** (სვ.) „კანაფი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 777) – **კაფ** (ადიღ.) „კანაფი“ (კვახაძე 2014: 66). შესაძლოა, ადიღეურში მეგრულიდან იყოს შესული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სვანურ **ქან** ფორმას შეიძლება უკავშირდებოდეს ადიღ. **ჯან** / **ჯან** „პერანგი“, აფხ. ა-კუნგ „კანაფი“, ოსური **გან** / **გან** „კანაფი“ (აბაევი 1958: 512).

მაყვალი (ქართ.) „მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დაბალი ტანი, სამყურა ფოთოლი, პწკალები, თეთრი ყვავილები და ტკბილი, წვნიანი ნაყოფი“ (ქეგლ V: 101) – **მარაკუნ** (ადიღ.) „მარწყვი“, „მაყვალი“, „თუთა“ (აეგლ 2012: 211), **მარაკუნაპუნ** (ყაზარდ.) „მაყვალი“, **მკა-ადგლა** (უბიხ.) „მარ-წყვი“

(ჯანაშია 2015: 102); ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ჩერქეზულ ენებში ქართველურიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1984: 49). ვ. აბაევი ოსურ **მწკუ** / **მწკუ** „წითელი მოცვი“ უდარებს კენკროვანთა კავკასიურ სახელებს ქართ. **მარწყვი**, სვან. **ბასყ** „მარწყვი“, უბიხ. **ბეშხუ** „ველური ვაზი“, **ბაშხ** „მოცხარი“, ჩერქ. **მარკო** „მარწყვი“, ყაბარდ. **მერაკო** „მარწყვი“, ქართ. **მაყვალი**, ქართ. (იმერ.) **მოცვი**, ლაზ. **მურღი** „მარწყვი“ და მიიჩნევს, რომ ოსური ფორმა კავკასიურ კენკროვანთა ენდემურ სახელებს უკავშირდება (აბაევი 1973: 79-80).

ხალთა (ქართ.) „ტყავის ტომარა, გუდა“ (ქეგლ VIII: 1322), **ხალთა** „გუდის ვარშაკარანი“ (საბა 1993: 414), **ხართა** (მეგრ.) „გუდა“ (ყიფშიძე 1914: 398), **ხალთა** / **ხალთ** (სვან.) „ხალთა, გუდა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 867) – **ჯათ** (უბიხ.) „ხალთა, ტყავის ტომარა“, **ხათე** (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ხათრა** (აფხ.) „ხალთა, გუდა“ (ჯანაშია 1954: 441), **ა-ჰათა** (აფხ.) „ხალთა“ (ჭარაია 1912: 15); სიტყვა ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურ-ჩერქეზულში (ჭარაია 1912: 15; შაგიროვი 1989: 139); აფხაზურში მეგრულიდან სესხებისას ერთ შემთხვევაში მოხდა მეტათეზისი **ხართა** > **ა-ხათრა**, მეორე შემთხვევაში სონორი **რ** საერთოდ დაიკარგა, თანაც მოხდა **ხ**-ს პალატალიზაცია. იმავე **ხართა**-სგან მომდინარეობს აფხაზური **ა-ჰათა** (ჯანაშია 1954: 451). ამ შემთხვევაში **ხ** > **ჰ**, რაც ასევე ბუნებრივია ქარ-თველურიდან აფხაზურში შეთვისებულ ფორმებში: შდრ. **კალმახა** > **ა-კალმაჰა** „კალმახი“, **მუხამუზი** (მეგრ.) „დეზი“ > **ა-მაჰმუზ** „დეზი“ (ბუკია 2002: 38). ვფიქრობთ, რომ ქართულ **ხალთა**-ს უკავშირდება ოსური **ხალთას** „ქალამანი“ (აბაევი 1989: 169).

ზენტხ (სვან.) „შვრია“ (თოფურია, ქალდანი 2000: 254) – **ზანთხ** (ადილ.) „შვრია“ (აეგლ 2010: 433); ადიღური სიტყვა წარმოდგენილია კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენებშიც: **ზანხ** (ოს.), **ზენტხე** (ბალყ.) „შვრია“ (შაგიროვი 1977: 206). ო. კახაძე სვანურ და ადიღურ სიტყვებს უკავშირებს ქართულ **ზანდურ**-ს „ხორბლის სახეობა“ (კახაძე 1960: 197). მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ ადიღურმა ისესხა სვანური **ხ**- განვითარებული სიტყვა (ჩუხუა 2000-2003: 105).

ჩერქეზული ნასესხობა ჩანს შემდეგი სიტყვები:

მწკ (ადილ.) „თივა“, **მწყ** (ყაბარდ.) „თივა“ (კვახაძე 2014: 76) – **მექუ** (სვან.) „თივა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 566); ბ. ბალყაროვს მოჰყავს სხვა ქართველური პარალელები: **მაჭუალ** (სვან.) „ზვინი“ (ლიპარტელიანი 2014: 210), **მაგოლი** (დიალ.) „თივის ბულული“ (ბალყაროვი 1965: 46). ვ. აბაევი ადიღურ და ქართველურ ფორმებს ადარებს ოსურ **მეჭელ** (ირონ.), **ბეჭუალ** (დიგ.) „ბულული“ ფორმებს (აბაევი 1973: 85). ქართველურსა და ოსურში სიტყვები ადიღურიდან ჩანს შეთვისებული (შაგიროვი 1977: 265).

ჟაკა (ადილ.) „წვერი“ (აეგლ 2010: 339), ა-ჟაკა (ყაბა-რდ.), ჟაკა (აბაზ.), ა-ჟაკა (აფხ.) „წვერი“ (შაყრილი 1971: 119), ჟაკა (უბიხ.) „წვერი“ (ჯანაშია 2015: 105), ა-ჟაკა (აფხ.) „წვერი“ (უსლარი 1887: 132), ა-ჟაკა (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 224) – ბჟაკე (მეგრ.) „წვერი“ (ყიფშიძე 1914: 207); ბ. ბალყაროვი ჩერქეზულ ფორმას კომპოზიტად მიიჩნევს და ყოფს ორი ნაწილისაგან: ჟნ „პირი“, კნ „კუდი“ (ბალყაროვი 1965: 35). აფხაზურში სიტყვას ეტიმოლოგია არ ეძებნება და ადიღეურიდან შესულად მოიაზრება (კლიმოვი 1968: 293), აქედან კი მეგრულში შემოვიდა. პ. ჭარაია აფხაზურ ა-ჟაკა და მეგრულ ბჟაკე-ს საერთო წარმომავლობის სიტყვებად განიხილავს (ჭარაია 1912: 24). ფორმა გვხვდება ოსურ ენაშიც: ზაკე / ზაკნ „წვერი“ (აბაევი 1989: 285); მეგრულში წარმოდგენილია კომპოზიტის ნაწილად: ბაბჟაკია (ბაბუმ ბჟაკე) „ბაბუაწვერა“ (ქობალია 2010: 58), ბასილაშ ბჟაკე „ჩიჩილაკის წვერი, წალამური“ (იქვე: 94).

ჟნრნდ (ადილ.) „სიმღერა“, ჟნრნდ / ჟნრედ (ყაბარდ.) „სიმღერა“, ჟნრნდნ (უბიხ.) „სიმღერა“, ჟარაიდა (აფხ.-აბაზ.) „მისამღერი“, ჟარად (აბაზ.) „სიმღერა“ (შაგიროვი 1977-ა: 92) – ვარადა (ქართ.) „[ადილ. ვარადა „სიმღერა“] ხალხური სიმღერების მისამღერი“ (ქეგლ IV: 21), ვარადა (მეგრ.) „მისამღერი“ (ქობალია 2010: 305); ითვლება, რომ უბიხური და აფხაზურ-აბაზური ფორმები (ქართველურიც) ადიღეურიდანაა ნასესხები (შაგიროვი, იქვე). სიმღერების მისამღერად გვხვდება აგრეთვე ოსურში ჟნრნდნ, ბალყარულში ორაიდა სახით (აბაევი 1989: 90)

ჟანნ / ჟან (ადილ.) „უნაგირი“ (აეგლ 2014: 175), ჟან (ყაბარდ.), ჟანაგგ (უბიხ.) „უნაგირი“ – უნაგირი (ქართ.) „მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა, ცხენის ზურგზე და-სადგმელი“ (ქეგლ VI: 1541), ანაგერი / ანანგერი / ონაგერი / ონანგერი / ონაგირი / ონენგერი / ონანგირი / უნაგერი (მეგრ.) „უნაგირი“ (ყიფშიძე 1914: 194; ჭარაია 1997: 108; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი), ჰენგირ / ჰინგირ / უნგირ / უნანგირ (სვან.) „id.“ (თოფურია, ქალდანი 2000: 898); გ. როგავა ადიღეურ ფორმას ყოფს ძირეულ ჟა და დეტერმინანტ –ნნ ნაწილებად. ადიღეურ სიტყვას კ. ბოუდა უკავშირებს ქართულ უნაგირი, ინგ. ნუვრ, ჩეჩნ. ნუდრ და ოსურ ჟანიკაჟსნ ფორმებს (ბოუდა 1950: 293). ნახური და ქართველური სიტყვები ადიღეური სახელობითი ბრუნვის ნიშნიანი ფორმისგანაა შეთვისებული < ჟანნ-გვ-გრ (შაგიროვი 1977-ა: 88). ოსური სიტყვა ჟანიკაჟსნ მომდინარეობს ყაბარდოული ჟანნჟაფსნ-დან: ჟანნ „უნაგირი“, ჟაფსნ „თასმა“ (აბაევი 1989: 48).

ოსურიდანაა შესული ქართულში ჩერქეზულის მეშვეობით:

ხამპალა (მოხ.) „წყალი ან რძეში მოხარშული მჭადის ფქვილის გორგლები“ (დლონტი 1984: 738) – **ჰალგჰამჰ** (ადიდ.), **ხაღ'ამჰ** (ყაბარდ.), **ა-ჰამპალ** (აფხ.), **ჰამპალ** (აბაზ.) „სიმინდის ცომისგან მოხარშული კვერები“, **ხამტამჰ** / **ხალტამა** / **ხაღჰანჰ** / **ხაღჰამჰ** / **ხამპალჰ** / **ხალტამა** (ოს.) „id.“ (აბაევი 1989: 169-170). ბ. ბალყაროვი მიიჩნევს, რომ ფორმა ოსურში ჩერქეზულიდანაა შეთვისებული (ბალყაროვი 1965: 29). ამოსავალია თურქ. **yatlama** (ცხიმში გამომცხვარი ფენოვანი კვერები“ (აბაევი, იქვე). სავარაუდოდ, ჩერქეზულიდან ოსურში შესული სიტყვა ამ უკანასკნელის მეშვეობით აღმოჩნდა მოხეურში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაევი 1958** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград
- აბაევი 1973** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.2. Ленинград
- აბაევი 1989** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 4. Ленинград
- აბდოკოვი 1973** – А. И. Абдоков, Фонетические и лексические параллели Абхазско-Адыгских языках, Нальчик
- აეგლ 2010** – Толковый словарь адыгейского языка. Т. 1 Майкоп
- აეგლ 2012** – Толковый словарь адыгейского языка. Т. 2 Майкоп
- აეგლ 2014** – Толковый словарь адыгейского языка. Т. 3 Майкоп
- ბალყაროვი 1965** – Б. Х. Балкаров, Адыгские элементы в Осетинском языке, Нальчик
- ბოუდა 1950** – К. Bouda, Beiträge zur etymologischen Erforschung des Geirgischen. „Lingua“, II, № 3
- ბუკია 2002** – მ. ბუკია, კოლხურ-აფხაზური ისტორიულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობის ასახვა მეგრულ ტრანსჰუმანსურ ლექსიკაში. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. VI, ქუთაისი
- თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
- კახაძე 1960** – ო. კახაძე, პურეულის ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულში, იკე, ტ. XII, თბილისი
- კვახაძე 2014** – ალ. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილოთა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- კლიმოვი 1968** – Г. А. Климов, Абхазско-адыгские этимологии II (заимствованный фонд). Этимология-1966, Москва

- ლიპარტელიანი 2014** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი
- ლომთათიძე 1984** – ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბილისი
- მარი 1910** – Н. Я. Марр. Грамматика Чанского (Лазского) языка с хрестоматією и словаремъ, Типография императорской академіи наукъ, С.-Петербургъ, 1910
- საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი
- საღლიანი 2005** – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი
- უსლარი 1887** – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი
- ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი
- ყიფშიძე 1914** – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматією и словаремъ. С-ПБ
- შაგიროვი 1977** – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва
- შაგიროვი 1977-ა** – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. II. Москва
- შაგიროვი 1989** – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва
- შაყრილი 1971** – К. С. Шакрыл, Очерки по абхазско-адыгских языках, Сухуми
- ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- ჭარაია 1912** – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб
- ჭარაია 1997** – ჰ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
- ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
- ჯანაშია 2015** – რ. ჯანაშია, უბიხური ენა, თბილისი

Manana Bukia

Centuries cohabitation of Georgian, Circassian and Ossetian peoples in Caucasus naturally established linguistic connections, that are revealed in lexical adoptions.

This paper presents words, common for all three languages, considers directions for word adoptions and intermediary languages.

Adopted from Georgian to Circassian and Ossetian are:

paraskevi (*Geo.*) „Friday -the fifth day of the week“, **bărăskăzəj** (*Adig.*) „Wednesday“; **bărăskăšx** „Friday“, **barəzəj / barazəj** (*Kabard.*) „id.“, **brask°a / brask~ă** (*Ubykh*) „Wednesday“, **barəščī / barăskă** (*Oss.*) „Mourning, fasting“.

kato (*Geo.*) „Bran - hard outer layers of cereal grain, byproduct of sieving of flour“, **gāt / gat** (*Svan*) „Bran“, **čətă / čət** (*Adig.*) „Malted grain“, **čata** (*Oss.*) „Bran“.

boloki (*Geo.*) „Radish“, **buleki** (*Megr.*) „Radish“, **buleki / buleči** (*Laz*) „Radish“, **bolok** (*Svan.*) „Radish“, **baləžă / baləžă / bələž** (*Adig.*) „Radish“, **bolk** (*Iron.*) and **bolgă** (*Digor.*) „Radish“.

gomi , gomuri (*Geo.*) „Stable, barn“, **gwem** (*Svan*) „Barn, cellar“, **g°ăn / k°anə** (*Kabard.*) „Barn“, **gon / gom** (*Oss.*)....

Following words are obviously adopted from Circassian:

măq°ə (*Adig.*) „Hay“, **maq°** (*Kabard.*) „Hay“, **meqw** (*Svan.*) „Hay“, **magoli** (*dialect.*) „Hay bale“, **măqəl** (*Iron.*), **băquäl** (*Digor*) „bale“.

žak°a (*Adig.*) „Beard“, **žak°a** (*Kabard.*), **žak°a** (*Abaz.*), **a- žak°a** (*Abk.*) „Beard“, **žak°a** (*Ubykh*) „Beard“, **bžake** (*Megr.*) „Beard“, **zake / zakă** (*Oss.*) „Beard“.

wărăd (*Adig.*) „Song“, **wărăd / wăred** (*Kabard.*) „Song“, **wărăda** (*Ubykh*) „Song“, **warajda** (*Abkh., Abaz.*) „Refrain“, **warad** (*Abaz.*) „Song“, **varada** (*Geo.*) „Refrain“, **varada** (*Megr.*) „Refrain“, **wărăjdă** (*Oss.*) „Refrain“.

wană / wăn (*Adig.*), **wăn** (*Kabard.*), **wanag°ə** (*Ubykh*) „Saddle“, **unagiri** (*Geo.*) „Saddle“, **anageri / anangeri / onageri / onangeri / onagiri / onengeri / onangiri / unageri** (*Megr.*) „Saddle“, **həngir / hingir / ungir / unăgir** (*Svan.*), **wanikjafsă** (*Oss.*) „Saddle“...

From Ossetian to Georgian:

xampala (*Mokhev dialect of Geo.*) „Corn balls boiled in water or milk“. *Turk. yatlama* „Breads boiled in oil“ in Abkh.-Circ. languages – **haləpamă** (*Adig.*), **xalamă** (*Kabard.*), **a-hampal** (*Abkh.*), **hampal** (*Abaz.*) „Boiled corn breads“ taken to Ossetian in forms of: **xămtamă / xaltama / xălpană / xălпамă / xămpală / xaltama**. Obviously direction of adoption was Circassian – Ossetian – Mokhev. dialect of Georgian.

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: „ნართების ეპოსის კვლევის თანამედროვე პრინციპები და მეთოდოლოგია“, შრომების კრებული, თბილისი, 2016, გვ. 62–70

